საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-18/176

ქ. ბათუმი 11 ივლისი, 2023 წელი

2023 წლის სტუდენტური საგანმანათლებლო პროექტის ,,დებატ-კლუბის'' ფარგლებში გამარჯვებული სტუდენტებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფულადი ჯილდოს გაცემის თაობაზე

ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 11 ივნისის №MES 5 23 0000671399 სამსახურებრივი ბარათით, ბსუ-ს 2023 წლის სტუდენტური საგანმანათლებლო პროექტის ,,დებატ-კლუბის" ბიუჯეტის შესაბამისად, მოთხოვნილია პროექტით გათვალისწინებული ფულადი ჯილდოს გაცემა დებატებში გამოვლენილი 2 გამარჯვებული წყვილისათვის.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის, „ბსუ-ს სტუდენტური, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების დაფინანსების თანხის ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტში ასახვის შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 30 ნოემბრის №07-01/53 გადაწყვეტილების, „2022-2023 სასწავლო წელს ბსუ-ში განსახორციელებელი სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 დეკემბრის N01-02/287 ბრძანების, „2023 წელს ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 15 თებერვლის N01-18/48 ბრძანების, „2023 წელს ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 15 თებერვლის N01-18/48 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 30 ივნისის N01-18/168 ბრძანების, „ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 23 დეკემბრის N07-01/57 გადაწყვეტილებისა და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის ლევან ტარიელაძის 2023 წლის 11 ივნისის №MES 5 23 0000671399 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტის ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობების მხარდაჭერა" ქვეპროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოს ბსუ-ს 2023 წლის სტუდენტური საგანმანათლებლო პროექტის ,,დებატ-კლუბის" ბიუჯეტით გათვალისწინებული ფულადი ჯილდოს (სულ 600 ლარი) ანაზღაურება 2023 წლის 3-4 ივნისს გამართულ დებატებში გამოვლენილ 2 გამარჯვებულ წყვილზე თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად.

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სამეცნიერო

კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და შესაბამის სტუდენტებს (დაეგზავნოს „პერსონალური მონაცემების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, ასევე განთავსდეს თითოეული სტუდენტის პირად საქმეში).

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 11 ივლისის N 01-18/176
ბრძანების დანართი №1

2023 წლის სტუდენტური საგანმანათლებლო პროექტის ,,დებატ-კლუბის'' ფარგლებში გამარჯვებული სტუდენტებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფულადი ჯილდოს ოდენობა:

I ადგილი:

ა) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ანრი თედორაძე პ/ნ: [redacted], ა/ნ: GE37BG0000000498685292, გასაცემი ჯილდო - 200 ლარი.

ბ) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ნინო გოგიტიძე პ/ნ: [redacted], ა/ნ: GE89BG0000000499089428, გასაცემი ჯილდო - 200 ლარი;

II ადგილი:

ა) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ლუკა ტაკიძე პ/ნ: [redacted]
ა/ნ: GE83TB7009345061100088, გასაცემი ჯილდო - 100 ლარი;

ბ) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ია გორგაძე პ/ნ: [redacted]
ა/ნ : GE39CD0360000021882089, გასაცემი ჯილდო - 100 ლარი;